საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 8 19 00515156

27/02/2019

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
თეონა ახალაშვილს

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2019 წლის 21 თებერვლის №60-01190523402 წერილის (სამსახურში რეგისტრაციის თარიღი 21.02.2019; №461498) პასუხად გაცნობებთ, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სპეციალისტების მიერ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განხილული იქნა ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N93-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.18.09.006.018) ასაშენებელი საავადმყოფოს შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების პროექტი, სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის ნაწილში.

წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტაციის განხილვის შედეგებით დადგინდა, რომ ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N93-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.18.09.006.018) ასაშენებელი საავადმყოფოს შენობის კორექტირებულ დაპროექტების დოკუმენტაციაში არ იქნა გათვალისწინებული, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2018 წლის 31 დეკემბრის N ES 1 18 00090795 წერილში აღნიშნული პირველი, მე-6, მე-9, და მე-11 პუნქტების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები, კერძოდ:

-არ იქნა გათვალისწინებული, უსაფრთხო ზონების მოწყობა, ჯამური ფართობების გაანგარიშებით;

-არ იქნა გათვალისწინებული სახანძრო დანაყოფების გადასაადგილებელი ლიფტის მოწყობა;

-არ იქნა გათვალისწინებული შენობის სამედიცინო და ტექნოლოგიური გაზმომარაგების შესახებ ინფორმაციის მოწოდება;

-არ იქნა გათვალისწინებული შენობის სათადარიგო ელექტრომომარაგების საკითხები;

საქართველო, 0114, თბილისი, ინგოროყვას ქ. № 7
ტელ: (+995 032) 2 28 78 40
ელ.ფოსტა: cepgeorgia@mia.gov.ge

№ 7, Ingorokva str. Tbilisi 0114, Georgia
Tel/Fax: (+995 032) 2 28 78 40
E-mail: cepgeorgia@mia.gov.ge

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ არ იქნა შემუშავებული და წარმოდგენილი შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაცია, რომელიც უნდა შეიცავდეს:

ა) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტს;

ბ) შენობის ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობის პროექტს;

გ) შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობის პროექტს;

დ) შენობის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობის პროექტს;

ე) შენობის ხანძრის შესახებ შეტყობინებისა და ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების მოწყობის პროექტს;

ვ) შენობის გათბობა-ვენტილაციის სისტემების მოწყობის პროექტს;

ზ) შენობის ელექტროდანადგარების და მეხდაცვის სისტემის მოწყობის პროექტს;

თ) სამედიცინო და ტექნოლოგიური გაზმომარაგების მოწყობის პროექტს;

გაცნობებთ რა ზემოაღნიშნულს, წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, უზრუნველყოფილი უნდა იქნას შენობის პროექტში სათანადო ცვლილებების და დამატებების შეტანა, ხოლო კორექტირებული სამშენებლო დოკუმენტაცია და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების პროექტები, დადგენილი წესის შესაბამისად წარმოდგენილი იქნას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში, შემდგომი განხილვისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის თაობაზე სათანადო დასკვნის მოსამზადებლად.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
როინ ვარშანიძე